პროლეტარიანებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 243 (19984) ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1987 წლის 21 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავსა და ზოგიერთ მიმდინარე ამოცანასთან დაკავშირებული საკითხები.

მოხსენება ამ საკითხებზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმზე გამოვიდნენ ამხანაგები ბ. ნ. ელცინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. კ. ლიგაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ს. ი. მანიაკინი — სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ლ. ა. გორდინი — სკკპ ასტრახანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ა. შალაევი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ბ. პ. ბოგომიაკოვი — სკკპ ტიუმენის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, თ. ტ. მორგუნი — უკრაინის კომპარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. კ. მესიაცი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ვ. კონოკლიოვი — სკკპ პერმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ა. არბატოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორი, ი. პ. რიაბოვი — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში, ნ. ი. რიჟკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ტ. საიკინი — მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ვ. ი. ვორონტნიკოვი — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. კოლესნიკოვი — უკრაინის სსრ „კრასნოდონქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანების „მოლოდოგვარდეისკაიას“ შახტის სამთო მუშათა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ვ. მ. ჩებრიკოვი — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ა. ნ. იაკოვლევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბ. ი. მარჩუკი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ე. ა. შევარდნაძე — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ვ. ს. მურახოვსკი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე, ა. ა. გრომიკო — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. კ. პუგო — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. მირონენკო — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ს. სოლომენცევი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. ვ. კოლბინი — უაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ა. ზატვორნიცკი — მთავარმოსკოვმშენის № 1 „მოსკოვმშენის“ ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმმა მოიწონა მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები და დასკვნები და მიიღო შესაბამისი დადგენილება ამ საკითხზე.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა დააკმაყოფილა ამხ. ბ. ა. ალიევის თხოვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა მუშაობა.

გარდაქმნის გარდამტეხ ეტაპზე

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია

20 ოქტომბერს 16 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

ტაშით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს მ. ს. **გორბაჩოვს, ბ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. მ. ჩებრიკოვს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, დ. ტ. იაზოვს, ი. თ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

სხდომას თავმჯდომარეობ დ ა **ა. ე. ვოსი.**

სსრ კავშირის 1988 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის და 1987 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ვ. ტალიზინმა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივმა კომისიებმა, თქვა მან, ღრმად და დაწვრილებით განიხილეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის ყველა განყოფილება. კომისიებმა დიდი მუშაობა გასწიეს გეგმის სოციალური მიზანდასახულობის გაძლიერებისა და მისი შეწონასწორებულობის დონის ამაღლებისათვის.

ეროვნებათა საბჭომ და კავშირის საბჭომ საფუძვლიანად იმსჯელეს 1988 წლის გეგმის პროექტზე.

მუდმივი კომისიების თანამოხსენებებში, დეპუტატების გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ გეგმის დავალებები მიზნად ისახავს სკკპ XXVII ყრილობის მიერ მატერიალური წარმოების ყველა დარგის განვითარებისა და სოციალური საკითხების კარდინალური დაჩქარებული გადაწყვეტის საქმეში დასახული ამოცანების შესრულებას. პალატების მუდმივმა კომისიებმა გამონახეს 159,4 მილიონი მანეთი საერთო ოდენობის საცალო ფასებით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გადიდების შესაძლებლობები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით ორატორმა შეკრებილთ მოახსენა, რომ ეს წინადადებები განხილული და მიღებულია. შესაბამისად დაზუსტდება 1988 წლის გეგმა.

დეპუტატებმა, ამხანაგებმა პუგომ, ლობანეევმ, ალავიძემ, მალდონისმა, გორშკოვმა, მასოლმა და სხვებმა აღნიშნეს საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისათვის საჭირო მატერიალური რესურსების ნაკლებობა, თქვა შემდეგ ორატორმა. 1988 წლის გეგმაში საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მოცულობა უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსებით.

უნდა უზრუნველვყოთ მასალების უმაღლესი წარმოება საბინაო და სოციალური მშენებლობის ტემპთან შედარებით, ვინაიდან საჭიროა მთლიანად ავავსოთ საშინაო ბაზარი სამენი მასალებით მოსახლეობისათვის მისაყიდად.

დეპუტატებმა, ამხანაგებმა ალავიძემ, ბელიაკოვმა და ნაზარბაევმა აღნიშნეს ცალკეული რეგიონების მიხედვით მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის შეწონასწორებაში არსებული ნაკლოვანებები და ითხოვეს დამატებითი სასაქონლო რესურსების გამოყოფა. სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის უფრო სრული უზრუნველყოფის მიზნით მისი გამოშვება 1988 წელს დასახულია ხუთწლიანი გეგმის ამ წლის დავალებათა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მისი ასორტიმენტის განახლებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით ორატორმა დამსწრეთ მოახსენა, რომ მუდმივი კომისიების დასკვნებში მითითებული და დეპუტატების გამოსვლებში წამოყენებული ყველა წინადადება ყურადღებით იქნება განხილული და მათი მიხედვით მიიღებენ საჭირო გადაწყვეტილებებს. განხილვის შედეგებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და შესაბამისი სამინისტროები მოახსენებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებსა და პრეზიდიუმს.

გარდაქმნის პროცესის დაჩქარება, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების ფართოდ გავრცელება, შრომითი კოლექტივების ინიციატივის განვითარება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის შესაბამისად, თქვა ნ. ვ. ტალიზინმა, გეგმის წარმატებული შესრულების ახალ შესაძლებლობებს გვაძლევს.

(დასასრული მე-2 გვ.).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმა იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც შემოიტანეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-სახიუჯეტო კომისიებმა, მრეწველობის კომისიებმა, ენერგეტიკის კომისიებმა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებმა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებმა, აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიებმა, სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიებმა, საბინაო-კომუნალური და საკალაჭო მეურნეობის კომისიებმა, საგარეო საქმეთა კომისიებმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიებმა, სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიებმა, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხთა კომისიებმა, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებმა, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიებმა.

მუხლი 2. დაწესდეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

(მატება პროცენტობით 1987 წლის გეგმასთან შედარებით)

წარმოებული ეროვნული შემოსავალი	4,3
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	2,7
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები	6,5
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	4,5
მშენებლობაში	4
რკინიგზის ტრანსპორტზე	7,5
სახელმწიფო საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგება	7,9
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა — სულ	2,6
მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	11,9
კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით	3,6

სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული ძლიერი სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის გზით განხორციელდეს ცენტრალიზებული წესით ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებანი:

გაგრძელდეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა ხელფასის ეტაპობრივი მომატება;

დაიწყოს კულტურის დარგების მუშაკთა ახალი თანამედროვეობრივი სარგოებისა და განაკვეთების შემოღება;

დაწესდეს იმ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის რაიონული კოეფიციენტები, რომლებისთვისაც ისინი დაწესებული არ არის, კიროვის ოლქის ჩრდილოეთის რაიონებსა და ყაზახეთის სსრ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის რაიონების ანალოგიურ დარგებში;

გაიზარდოს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში ავადმყოფთა კვებისათვის, მედიკამენტებისა და რბილი ინვენტარის შეძენისათვის სახსრების ხარჯვის ნორმები;

დაწესდეს 8 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ბრონქული ასთმით დაავადებულ პირთა ამბულატორიულ პირობებში მკურნალობისათვის მედიკამენტების უფასო გაცემა, აგრეთვე შრომითი დასახიჩრების, პროფესიონალური ან საერთო დაავადების შედეგად I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის ღირებულების 50 პროცენტის გადახდით მედიკამენტების შეღავათიანი გაცემა;

გაიზარდოს ყველა ტიპის სბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატებისათვის სამეურნეო ინვენტარის შეძენისა და კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის სახსრების ხარჯვის ნორმები.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს 4,1 მილიარდი მანეთი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების 1987 წელს დაწყებული ახალი ცენტრალიზებული ღონისძიებების განხორციელებისათვის.

გაგრძელდეს სახელმწიფო შინაგანი სესხების დაფარვა.

მეურნეობრიობის ახალი პირობებით შექმნილი შესაძლებლობების ფართო გამოყენების საფუძველზე კიდევ უფრო გაიზარდოს სახალხო მეურნეობის საწარმოთა დარგების მუშაკთა სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები საწარმოთა მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე.

უზრუნველყოფილ იქნეს სახსრებისა და რესურსების პრიორიტეტული გამოყოფა სანინაო პრობლემის გადაწყვეტისათვის, სბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის გაკაჟების, საგანმანათლებლო-კულტურული დონის ამაღლების, სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

სოციალური სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიზნით 1988 წელს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცეს 128,9 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი საცხოვრებელი სახლები, 966-ათასადგილიანი სკოლამდელთა დაწესებულებანი, 9,1-ათასადგილიანი სბავშვო სახლები, 1668,5-ათასადგილიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ობოლ ბავშვთა და მშობლების მეურვეობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა 4-ათასადგილიანი სკოლა-ინტერნატები, 77,8-ათასსაწოლიანი საავადმყოფოები, ცვლაში 197,9 ათასი ავადმყოფისათვის გათვალისწინებული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი.

მუხლი 3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მითითებების, ივნისის პლენუმის მიერ დამკვიდრებული ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებების, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებისა და „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის საფუძველზე უზრუნველყონ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის რეალიზაციის დროს პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განუხრელი განხორციელება, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია და ეფექტიანობის გადიდება, ეკონომიკის მართვის მთლიანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემის თანამიმდევრული ეტაპობრივი შექმნა, რომელიც უნარჩენ ყოველისა დაფუძნებული იქნება სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსვის პრინციპებზე, შრომითი კოლექტივების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისებისა და წარმოებისა და სოციალური განვითარების მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის მათ პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე.

უზრუნველყონ მუდმივი კონტროლი „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესრულებისადმი, საწარმოებისათვის მინიჭებულ უფლებათა მკაცრი დაცვისადმი. ყოველნაირად განამტკიცონ დემოკრატიული საწყისები საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესების მართვაში. შექმნან რეალური წანამძღვრები წარმოების ეფექტიანობის გადიდებით ყველა მშრომელის პირადი დაინტერესების რეალიზაციისათვის, აქტიურად დანერგონ კოლექტიური იჯარა და შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა პროგრესული ფორმები. განავითარონ საწარმოთა ეკონომიკური შეკიბრება, როგორც სოციალისტური შეკიბრების ახალი ფორმა.

შრომითი კოლექტივების მთელი მეცადინეობა მოახმარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის უზრუნველყოფის, სახალხო მეურნეობაში საზოგადოების განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის ამოცანების გადაწყვეტას, აქტიურად განახორციელონ რესურსთდაზოგვის, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ყველა ბუნებრივი რესურსის ყოველმხრივი მომჭირნეობის გეზი.

მუხლი 4. სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა მეურნეობრიობის ახალ პირობებში ტერიტორიული მართვის გარდაქმნის შესახებ სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მითითებების საფუძველზე გაზარდონ ტერიტორიათა განვითარებისადმი ხელმძღვანელობის ეფექტიანობა, უფრო ფართოდ გამოიყენონ მინიჭებული უფლებები, რათა კომპლექსურად დაფუძნებულ ეკონომიკური, სოციალური და ბუნების დაცვის ამოცანები, აამოქმედონ ყველა რეზერვი, რომ დაიჩქარონ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გააფართოონ მინეხილის, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა და მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, საქვეუწყებო ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოება, ფასიანი მომსახურების მოცულობა. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოოპერაციული ფორმებისა და მოქალაქეთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებას.

მუხლი 5. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-სახიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 20 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ცნობად იქნეს მიღებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის.

3. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-სახიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე დეპუტატების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 20 ოქტომბერი.

ლიტერატურა და მშვიდობა განუყოფელია

ღრმად სიმბოლურია, რომ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც იხილავს პრობლემას „თანამედროვე ცივილიზაციის ბედი და მსოფლიო ლიტერატურა“, დიდი ჰუმანისტი მწერლის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს ეძღვნება, რომლის შემოქმედების არსი სოციალური და ეროვნული პროგრესისათვის ჩაგრულთა განთავისუფლებისათვის ბრძოლით განისაზღვრებოდა. ილია ჭავჭავაძე, რომელიც თავის ქმნილებებში დიდ საზოგადოებრივ-ისტორიულ პრობლემებს სვამდა და გულისხმიერად ეხმაურებოდა თანამედროვე სინამდვილის შოვლენებს, თავისი დროის მოწინავე შვილი იყო. ყველაზე ჰუმანისტურ იდეალებს ამკვიდრებდა. ამიტომ კონფერენციის მთელი მუშაობა, რომელიც 21 ოქტომბერს გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, მიმდინარეობდა ილია ჭავჭავაძის ქმედითაქტიური, დიდი მოქალაქეობრიობით წმთაგონებული ხმა ამის გამო ხვალინდელი დღისკენ მიმართული შემოქმედების საფუძვლიანი ანალიზის ნიშნით.

დარბაზში შეიკრიბნენ თვალსაჩინო მწერლები, მეცნიერები, მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ოსტატები, საზღვარგარეთის 27 ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები.

კონფერენციის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, ზ. ა. ჩხეიძე, გ. გ. გუმბარიძე, ვ. მ. სირაძე.

გახსნა რა მწერალთა ფორუმი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ზ. ციციშვილმა თქვა:

ჩვენ, ლიტერატურის მოღვაწენი, აქ შეგვკრიბა გულწრფელმა, დაუშრეტელმა, აქტიურმა ზრუნვამ კაცობრიობის ბედისათვის. ჩვენი ფორუმი გაციცკროვნებულია ქართველი ხალხის დიდი შვილის ილია ჭავჭავაძის სახელით, რომლის დაბადების 150 წლისთავი მისი მშობელი ერის, ყველა მოძმე ხალხის ნამდვილი დღესასწაულია. დღეს, ჩვენს ბრთვულ-კოსმოსურ საუკუნეში, თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია მომაკვდინებელი სამშობლოების წინაშე აღმოჩნდა, და კაცობრიობას დიდად აშფოთებს მისი შემდგომი ბედი. და თუ მსოფლიო საზოგადოებრიობა თავგამოდებით არ იბრძოლებს თანამედროვე ცივილიზაციის ბედისათვის, ყველაფერი, რასაც ადამიანმა მიაღწია, ნაცარტუტად იქცევა, უცილობლად დაიღუპება თვით კაცობრიობაც, მისი ცივილიზაციაც, რადგან მის მიერ განვლილი გზა სხვა არაფერია, თუ არა აღმშენებლობის პროცესი. ამიტომ ყველა ქვეყნისა და ხალხის შემოქმედებითმა და მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური განსხვავების მიუხედავად, უფრო ინტენსიურად უნდა დაამყარონ კონტაქტები, უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ და ყველნაირად ეცადონ, რომ შეიძლებოდეს საყოველთაო ურთიერთგაგების ყველასათვის მისაღები ფორმები, მეთოდები და გზები.

დიან, დღეს მსოფლიო საზოგადოებრიობის, ყველა ხალხის ლიტერატურის შეშფოთება უაღრესად დიდია. ჩვენი კონფერენცია თავისი თემითა და ფორმულით ასახავს იმ საყოველთაო შეშფოთებასა და მისწრაფებას, რომ თავიდან აიცილოს საბედისწერო შეცდომები, რომლებსაც უცილობლად მოჰყვება მსოფლიო კატასტროფა.

ილია ჭავჭავაძე — ერთ-ერთი უგანათლებულესი პიროვნება — იყო უდრეკი მებრძოლი და ნამდვილი ქომაგი საყოველთაო პროგრესისა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ცივილიზაცია. სწორედ ამიტომ უნდოდა მას მოხალისეად წასულიყო გარიბალდელთა რიგებში, მხურვალედ ქომაგობდა პარიზის კომუნას, მხარს უჭერდა ბურგს ინგლის-ბურეთის ომის დროს. იგი ყოველთვის იბრძოდა თავისუფლებისათვის, აქტიურად ილაშქრებდა ყოველგვარი ძალადობისა და მონობის წინააღმდეგ.

დიდი პოეტის ხსოვნის დღეები მიმდინარეობს იმ პერიოდში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი თავისი ისტორიის გარდატეხის გზაზეა. გარდაქმნა, რომელიც ქვეყნის ცხოველმოქმედების ყველა სფეროში ვრცელდება, მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი პროცესი გახდა. გარდაქმნის სტრატეგიის ახლა უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალს მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა. ამ ყოვლისმომცველი პროცესსა და მასთან დაკავშირებულმა პროგრესულმა ძვრებმა საგრძნობლად დააჩქარა დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოზიციები და შეამცირა კონფრონტაციის დონე.

საბჭოთა ადამიანები უდიდესი ერთსულოვნებით უჭერენ მხარს ახალ პოზიციებს, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ შეიმუშავა. სწორედ საბჭოთა კავშირის ინიციატივების წყალობით დაისახა იმის საფუძვლიანი იმედი, რომ მალე მიღწეულ იქნება მორიგების რაციონალური მთელი კლასების ლიკვიდაციის შესახებ, ეს იქნება არსებითი წვლილი დაძაბულობის შენელების საქმეში, მშვიდობიანი თანამშრომლობის, თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის პროგრესის საწინდარი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე. მან, ერთად აღნიშნა:

— მხატვრული ლიტერატურის ჰუმანისტურ არსს, რომელიც ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება, ჩვენს ხანაში ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მან ბევრად შეუწყო ხელი თანამედროვე ცივილიზაციის ქმნას, და ახლა ვალდებულია დაიცვას იგი, აღზარდოს ადამიანები ეროვნულ სიყვარულის სულისკვეთებით.

(დასასრული მე-4 გვ.).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც შემოიტანეს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიებმა, მრეწველობის კომისიებმა, ენერგეტიკის კომისიებმა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებმა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებმა, აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიებმა, სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიებმა, საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიებმა, საგარეო საქმეთა კომისიებმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიებმა, სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიებმა, ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხთა კომისიებმა, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებმა, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიებმა შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 443.645.321 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული შემოსავალი — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსების საფასური, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სოციალისტური მეურნეობისაგან მიღებული სხვა შემოსავალი — 407.253.959 ათასი მანეთი საერთო თანხის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი მრეწველობის, აგროსამრეწველო კომპლექსის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის განკუთვნილი ხარჯები 241.835.473 ათასი მანეთი საერთო თანხის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებების — ზოგადსაგანმანათლებელი სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობისა და განათლების და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, სამკურნალო ბაგეების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის განკუთვნილი ასიგნებანი 158.550.471 ათასი მანეთი საერთო თანხის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ნაწილში 58.708.350 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 5. დაწესდეს სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ქვეყნის თავდაცვისათვის ასიგნებანი 20.244.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დაწესდეს სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მართვის ორგანოების, სასამართლოებისა და პროკურატურის შენახვა ასიგნებანი 2.988.939 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. დამტკიცდეს 1988 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 242.942.617 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 8. დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავალ-გასავლის ნაწილში 200.702.704 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

(ათასი მანეთი)

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	110.101.916
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	33.168.567
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	8.893.389
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	9.011.754
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	12.696.850
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.559.874
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.361.046
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.961.586
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.999.545
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.732.665
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.388.081
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.108.751
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.248.113
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.683.213
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.797.354

მუხლი 9. დამტკიცდეს 1988 წლისათვის მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში ანარიცხები შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადიდან: რუსეთის სფსრ — 89,9 პროცენტი, უკრაინის სსრ — 64,8 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 74,7 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 100 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 100 პროცენტი, საქართველოს სსრ — 98,8 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 78,6 პროცენტი, ლიტვის სსრ — 98,2 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 87,7 პროცენტი, ლატვიის სსრ — 70,6 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ —100 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 100 პროცენტი, სომხეთის სსრ — 79,6 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 100 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 98,7 პროცენტი.

ბ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან: უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ, ლიტვის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ და ესტონეთის სსრ—100 პროცენტი.

1988 წლის საკავშირო ბიუჯეტიდან გამოეყოს უზბეკეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 1.883.647 ათასი მანეთი, ყაზახეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 2.540. 866 ათასი მანეთი, ყირგიზეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 556. 079 ათასი მანეთი, ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 419.518 ათასი მანეთი და თურქმენეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 344.608 ათასი მანეთი, რათა უზრუნველყონ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება.

მუხლი 10. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც მოცემულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 20 ოქტომბერი.

გარდაქმნის გარდამტეხ ეტაპზე

(დასასრული)

პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი, რომლითაც დამტკიცა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და 1986 წლის ბიუჯეტის შესრულების საკითხზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა **დეპუტატმა ბ. ი. გოსტევმა.**

ხუთწლედის მესამე წლის ბიუჯეტი, თქვა მან, შეესაბამება პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებულ საბჭოთა საზოგადოების განვითარების დაჩქარების სტრატეგიულ კურსს, ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივლისის პლენუმების მითითებებს ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის თაობაზე. განხილვის მიმდინარეობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბიუჯეტს მთლიანად დაუჭირეს მხარი მუდმივმა კომისიებმა, ყველა. გამოსულმა დეპუტატმა.

დეპუტატებმა მიიწონეს ბიუჯეტში გათვალისწინებული საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის რადიკალური ცვლილებები, რომლებიც ემყარება სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის მოთხოვნებს, სახალხო მეურნეობის დარგებსა და რეგიონებში სამეურნეოთანგარიშიანი ურთიერთობის უფრო სრულ გამოყენებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბიუჯეტში მკაფიოდ შეიმჩნევა მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, სახალხო მეურნეობის განვითარების საკვანძო მიმართულებებზე ფინანსური რესურსების კონცენტრაციის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების გეზი.

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 443.645.321 ათასი მანეთის ოდენობით.

მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მოხსენება „მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე განხილვის დროს გამოთქმულ დეპუტატების წინადადებათა განხილვის შედეგების თაობაზე“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, კავშირის საბჭოს საკანონმდებლო წინასწარგანზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ **გ. პ. რაზუმოვსკიმ.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ გასულ სესიაზე მოცემულ დავალებასთან დაკავშირებით, თქვა მან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და პალატების საკანონმდებლო წინასწარგანზრახულობათა კომისიებში განხილულ იქნა დეპუტატთა წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც მათ გამოთქვეს მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის განხილვის დროს.

მომხსენებელმა შეკრებილთ გააცნო ამ წინადადებათა განხილვის შედეგები. საფუძვლიანი ჩანს წინადადება იმის თაობაზე, რომ მოქალაქეს მიეცეს უფლება თანამდებობის პირის არაკანონიერი მოქმედების შესახებ საჩივრით მიმართოს უშუალოდ სასამართლოს მიუხედავად იმისა, წინასწარ გასაჩივრდა თუ არა ასეთი მოქმედება ზემდგომ ორგანოში, ან თანამდებობის პირის წინაშე. ასეთი შესწორება უფრო მეტად შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციის 58-ე მუხლის მოთხოვნებს და პრაქტიკულად შეუწყობს ხელს საჩივრების ოპერატიულ გადაწყვეტას, იმას, რომ გაძლიერდეს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მოქალაქეთა მიმართვების სწორი განხილვისათვის.

მხარი დაუჭირეს აგრეთვე წინადადებას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისა და გაბრუნებულების შესახებ საქალაქო სამართალწარმოების საერთო წესები გავრცელდეს თანამდებობის პირთა არამართლზომიერ მოქმედებაზე საჩივრის გამო მიღებულ გადაწყვეტილებებზეც. მოქალაქეთა უფლებების სასამართლო დაცვის გაფართოება საკასაციო გასაჩივრების უფლების მინიჭების გზით კანონიერების უზრუნველყოფის დამატებითს გარანტიებს ქმნის.

მომხსენებელმა წამოაყენა წინადადება, რომ შენარჩუნებულ იქნეს კანონით განმტკიცებული გასაჩივრების ერთი თვის ვადა, სასამართლოს მიერ მისი გაბანგრძლივების შესაძლებლობით.

იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ კანონში ზუსტად განსაზღვროს თანამდებობის პირთა ისეთი მოქმედების ნუსხა, რომლის გასაჩივრებაც შეიძლება, მოხსენებაში ნათქვამია, რომ უმჯობესია შენარჩუნებულ იქნეს კანონის პრინციპული დებულება, რომელიც ითვალისწინებს თანამდებობის პირის ყოველგვარი მოქმედების გასაჩივრების შესაძლებლობას, ისეთი მოქმედების გამოკლებით, რომელიც სპეციალურად არის რეგლამენტირებული სისტლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სხვა კანონმდებლობით.

რაც შეეხება წინადადებებს სასამართლოში კოლეგიური ორგანოების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ, ასეთი გადაწყვეტილებები, როგორც უკვე ითქვა წინა სესიაზე, სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მოხსენების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო სსრ კავშირის კანონი „მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების შესახებ“ კანონში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **თ. ნ. მენთეშაშვილმა.**

მოხსენების გამო მიღებულია შესაბამისი კანონები და დადგენილებები.

დეპუტატთა შეკითხვის შესაბამისი სამსახურების ზამთრისათვის მზადყოფნის შესახებ უპასუხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ბიუროს თავმჯდომარემ **ბ. ე. შჩერბინამ.**

საერთოდ ზამთრისათვის მზადება, თქვა მან, უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე წინა წლებში. მომხმარებლის სათბობის მარაგი დაგროვილი აქვთ მეტი რაოდენობით, ვიდრე დაგალებით იყო გათვალისწინებული.

ზამთრისათვის მზადების ყველა უბანთაგან ყველაზე უფრო ჩამორჩენილია, თქვა მან, ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეებ ი ს მშენებლობა და ამოქმედება.

ზამთრისათვის საცხოვრებელი ფონდისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების მზადება, 1 ოქტომბრის მონაცემებით, ვერ დასრულდა რუსეთის ფედერაციის 23 ოლქში, მხარისა და ავტონომიურ რესპუბლიკაში. ყველაზე მეტად ჩამორჩნენ საქართველოში, უზბეკეთში, უკრაინის მთელ რიგ ოლქებში, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში.

ბ. ე. შჩერბინამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ენერგომომარაგების პრობლემას.

დეპუტატების შეკითხვაზე პასუხის გაცემისას სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი დეპუტატი **ვ. გ. კლიუევი** დაეთანხმა მათ, რომ საბჭოთა ადამიანებს უფლება აქვთ წაუყენონ დღეს დარგს სერიოზული პრეტენზიები ცალკეულ სახეობათა საქონლის დაბალი ხარისხისა და ასორტიმენტის ნაკლებობის გამო.

დეფიციტის ლიკვიდაციისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ქვეყნის ბევრ რეგიონში სრულდება საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის პროგრამები.

უფრო ძვირადღირებულ ნაწარმს რაც შეეხება, რომელზეც შეკითხვაშია ლაპარაკი, მინდა დაცნობოთ, თქვა შემდეგ მინისტრმა, რომ განსაკუთრებით მოდური და, ბუნებრივია, უფრო ძვირი საქონლის ხვედრითი წილი დღეს შედარებით მცირეა.

არის შემთხვევები, როცა ცალკეული საწარმოები, რომლებიც ძველ ზნეს ვერ შელევ ი ა ნ, „მთლიან გეგმას“ გამოდევნებულნი ცდილობენ წარმოების მოცულობა ფასების ხარჯზე გაზარდონ.

დეპუტატთა შეკითხვების გამო იღებენ შესაბამის დადგენილებებს.

ამით სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 419.547.545 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 417.089.615 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 2.457.930 ათასი მანეთის გადამეტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 20 ოქტომბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

„მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

„მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ სსრ კავშირის 1987 წლის 30 ივნისის კანონში (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1987 წ №26, ფ. 388 (რუს)) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თანამდებობის პირის მოქმედებაზე საჩივარი მოქალაქის შეხედულებისამებრ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში, მას შემდეგ, რაც ეს მოქმედება გასაჩივრებული იქნება დაქვემდებარების წესით თანამდებობის პირთან ან ორგანოსთან, ან უშუალოდ სასამართლოში“.

2. მე-5 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საჩივრის სასამართლოში შეტანა შეიძლება ერთი თვის ვადაში, რომელიც აღირიცხება იმ დღის შემდეგ, რაც მოქალაქისათვის ცნობილი გახდება მის მიმართ თანამდებობის პირის არამართლზომიერი მოქმედება, ან იმ დღის შემდეგ, რაც მოქალაქე უარს მიიღებს მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე დაქვემდებარების წესით ზემდგომი თანამდებობის პირისა ან ორგანოსაგან, ან იმ დღის შემდეგ, რაც ამოიწურება საჩივრის განხილვის კანონით დადგენილი ვადა.

3. მე-5 მუხლის მეორე ნაწილში ამოღებულ იქნეს სიტყვა „დადგენილი“.

მე-5 მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჩივრის მიღებაზე უარის შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ან გაპროტესტდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესების მიხედვით“.

3. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრება და გაპროტესტება.

საჩივრის გამო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს და გაპროტესტდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესების მიხედვით.

პროტესტის შეტანა აჩერებს გადაწყვეტილების შესრულებას“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 20 ოქტომბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის სახელმწიფო მართვის ზოგიერთი ორგანოს შექმნისა და გარდაქმნის და „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 23-ე, 24-ე, 26-ე და 27-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1987 წლის 20 ივლისისა „სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო და სატრაქტორო მანქანათმშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ;

1987 წლის 20 ივლისისა „სსრ კავშირის ძმიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1987 წლის 8 აგვისტოსი „სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სსრ კავშირის სტატისტიკის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“;

1987 წლის 7 სექტემბრისა „სსრ კავშირის ზოგიერთი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სამინისტროებად გარდაქმნის შესახებ“;

1987 წლის 3 ოქტომბრისა „სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის საერთო-საკავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“;

1987 წლის 16 ოქტომბრისა „სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“

2. ამ კანონის 1 მუხლთან დაკავშირებით „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“ 1978 წლის 5 ივლისის სსრ კავშირის კანონში შეტანილ იქნეს (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1978 წ., № 28, მუხ. 436; 1979 წ., № 49, მუხ. 850; 1981 წ., № 26, მუხ. 839; №47, მუხ. 1238; 1984 წ., №1 მუხ. 17; 1985 წ., №48, მუხ. 920 და მუხ. 938; 1986 წ., №26, მუხ. 482, №35, მუხ. 730, № 47, მუხ. 967; 1987 წ. № 7, მუხ. 92) შემდეგი ცვლილებანი:

1) 23-ე მუხლს დაემატოს:

სიტყვების შემდეგ „გეზის მრეწველობის სამინისტრო“ სიტყვები „გეოლოგიის სამინისტრო“,

სიტყვების შემდეგ „საზღვაო ფლოტის სამინისტრო“ სიტყვები „ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო“,

სიტყვების შემდეგ „რადიომრეწველობის სამინისტრო“ სიტყვები „სასოფლო-სამეურნეო და სატრაქტორო მანქანათმშენებლობის სამინისტრო“,

სიტყვების შემდეგ „სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო“ სიტყვები

მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო,

ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო“,

სიტყვების შემდეგ „ქიმიური მრეწველობის სამინისტრო“ სიტყვები

„ფერადი მეტალურგიის სამინისტრო,

შავი მეტალურგიის სამინისტრო“;

23-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტრო“, „სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო“, „მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო“, „ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის სამინისტრო“;

2) 24-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „გეოლოგიის სამინისტრო“, „ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო“, „ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო“, „ფერადი მეტალურგიის სამინისტრო, შავი მეტალურგიის სამინისტრო“;

3) 26-ე მუხლს სიტყვების შემდეგ „სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტი“ დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი“;

4) 27-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო“, და მუხლის ეს ნაწილი შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ექვემდებარება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი, რომლის გამგეობის თავმჯდომარე დადგენილი წესით შედის სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 20 ოქტომბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1987 წლის 10 ივლისისა „მძეგალთა შეპყრობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

1987 წლის 3 აგვისტოსი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების 15 და 36 მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

1987 წლის 25 აგვისტოსი „შიდსის ვირუსით დასნებოვნების პროფილაქტიკის ღონისძიებათა შესახებ“;

1987 წლის 2 სექტემბრისა „მოუშავე ფეხმძიმე ქალებისა და მცირეწლოვან შვილთა დედების შეღავათების გაფართოების შესახებ.

1987 წლის 25 სექტემბრისა „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნათესების წახდენისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

1987 წლის 2 ოქტომბრისა „სსრ კავშირის საჰაერო კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1987 წლის 12 ოქტომბრისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომაგასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 20 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შემავალ ცალკეულ პირთა თანამდებობიდან განთავისუფლებისა და თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1987 წლის 7 ივლისის „ბრძანება ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ეფიმოვის** სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს ვალიტინ პეტრეს ძე დენისოვის — სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივნის სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრის მოვალეობისაგან ამბ. ნიკოლოზ კუნტანამშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1987 წლის 20 ივლისისა — ამხ. ვლადიმერ მაკარის ძე **ველიჩკოს** სსრ კავშირის მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1987 წლის 8 აგვისტოსი — ამხ. მიხეილ ანტონის ძე **კოროლიოვის** სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1987 წლის 22 აგვისტოსი — ამხ. ვიქტორ ვლადიმერის ძე **დემენცევის** სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

1987 წლის 22 აგვისტოსი — ამხ. ნიკოლოზ ვიქტორის ძე **გარეტოვსკის** სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 20 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

სსრ კავშირის ზოგიერთ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროში, სახელმწიფო კომიტეტში, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ადმინისტრაციულ ორგანოებში ცვლილებათა შეტანის, ზოგიერთ ორგანოთა ლიკვიდაციისა და ზოგიერთ ორგანოთა ჩამოყალიბების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ცნობად იქნეს მიღებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის

ნაღვაწი გაანძად დაშთების

შორეტი ქალმოსილება

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ფუნდამენტური, თანამედროვე მსოფლიო მეცნიერული აზრის უკანასკნელი სიტყვით შეჭურვილი ენციკლოპედიაა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს უტოლდება. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გავკადნიერდებით ენციკლოპედიის რეცენზენტობა ვიტვირთოთ. მისი რეცენზენტი დროა. ამჯერად ვენდოთ ჩვენს შთაბეჭდილებებსა და წლების მიერ აპრობირებული ტომების შესახებ საზოგადოების აზრს და მადლიერების გრძნობას.

განსაკუთრებით სასიხარულოა ეს ფაქტი — ქართულმა ენამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი უშრეტი ძალმოსილება, ტერმინოლოგიური ადეკვატების სიმდიდრე. თუმცა ეს ძალმოსილება მან უკვე პირველ საუკუნეებშივე ცხადყო, როცა ითარგმნებოდა ქრისტიანული ლიტერატურა, ძველი ფილოსოფია, იქმნებოდა ორიგინალური თხზულებები. „ენციკლოპედია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ცოდნის წრეს. ქრისტიანობისა და ბერძნული კულტურის შემოსვლამ გაფართოვა ჩვენი ცოდნის წრე. ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა, მათემატიკა, მედიცინა... ჩვენში ცოდნის მრავალი დარგი დამკვიდრებული რომ ყოფილა, ეს „ვეფხისტყაოსნიდანაც“ კარგად ჩანს. ენციკლოპედიური, კომენტატორული მუშაობის სტილიც არ იყო უცხო ქართველი მოაზროვნეებისათვის. ეფრემ მცირემ, იოანე პეტრეწმა, არსენ იყალთოელმა და სხვა მოაზროვნეებმა გზა გაუკვალეს ცოდნის სისტემაში მოყვანის ტრადიციას. სულხან-საბას, ვახუშტი ბაგრატიონის, იოანე ბატონიშვილისა თუ სხვათა ღვაწლი ძევს იმ ბალავერში, რომელსაც დაეფუძნა ჩვენი ენციკლოპედია. პეტერბურგელი ქართველებიც ოცნებობდნენ იმაზე, რომ ქართველებს გვქონოდა ევროპული ყაიდის ენციკლოპედია. მაგრამ 1898-99 წლებში გამოსული მხოლოდ ოთხი წიგნი (ანბანის პირველ ასოებზე) წყაურვილის დროებით დაოკებასა ჰგავდა. ახლა კი ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში 70 ათასი ტერმინსტატიაა, რა თქმა უნდა, ენციკლოპედია არ გახლავთ ორიგინალური გამოკვლევების კრებული. იგი არის კაცობრიული აზრის უკვე დაღვინებული, გადაწყვეტილი პრობლემების შეჯერება. ენციკლოპედია არის ზუსტი აზრის ავტორიტეტი. საკმარისია სულ რამდენჯერმე დაგჭირდეთ ქართული ენციკლოპედია და იგრძნობთ, რომ მასში ტრადიციულად აუცილებელი სესხ-ვალი უცხოური თუ საბჭოთა ენციკლოპედიისაგან მინიმალურია. ცხადია, ქვეყნად ამგვარი სესხისაგან თავისუფალი ენციკლოპედია არ არსებობს. ჩვენ იმის თქმა გვინდა, *რომ მას აქვს მეთოდოლოგიური და მსოფლმხედველობრივი საფუძველი, ახალი ცოდნის, თანამედროვე მონაპოვრების სრული ინფორმაცია, მასში ძალუმად იგრძნობა ჩვენი ცხოვრების, ყოფისა და აზროვნების მრავალი მომენტი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1981 წელს გამოცემული საგანგებო ტომი ენციკლოპედიისა (ქართულ და რუსულ ენებზე) — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. საზოგადოდ, ენციკლოპედიის მრავალტომეულის გამოსვლა კი დასრულდა, მაგრამ დარგობრივი საენციკლოპედიო საცნობარო სამუშაოები წინ არის. დღეს, ინფორმაციის მოზღვავების პირობებში, ამგვარ სისტემას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება.*

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ტომეულები გვიჩვენებს, რომ ისტორიის, ფილოლოგიის, (საზოგადოდ ჰუმანიტარული მეცნიერებების) საკითხებზე ტერმინოლოგიურ-განმარტებითი თვალსაზრისით სრული ხელგახსნილობაა. ახალ ევროპულ ცნებებს, დეფინიციებს უმეტესწილად ქართული ადეკვატები შეეგება და დამკვიდრდა. უფრო მეტი სიძნელეა საბუნებისმეტყველო დისციპლინებში. აქ ბერძნიზმსა და ლათინიზმს არ უკადრისობდა არც ერთი კულტურული ერი. ახლაც არის ენობრივი პრიორიტეტისათვის ბრძოლა. ვის ენაზეც მოხდება აღმოჩენა, ამ ენის ტერმინი გაჰყვება შესაბამის ცნებას. თუ ფიზიკა-მათემატიკაში, ბიოლოგიაში, ტექნიკაში ქართველი კაცი, ქართული სახელდებით გააკეთებს ისეთ აღმოჩენას, რომელიც მსოფლიოს სამეცნიერო აზრს დიდად უღირს, მაშინ ეს მიიღებს აღმოჩენის თანხმლებ სახელს. მაგრამ ჩვენ უფრო სხვა საზრუნავი გვაქვს, ვიდრე მსოფლიო აზრის ტერმინოლოგიური გამდიდრება. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართული მათემატიკის ფუძემდებელთა საგანგებო გარჯას ქართული ტერმინოლოგიის შექმნისათვის ფუჭად არ ჩაუვლია. ფიზიკის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების ფუნდამენტურ დარგებში ახალი ტერმინოლოგიის ქართულ ნიადაგზე დამყარება აუცილებელია. უფრო რთულია ტექნიკის სფერო, როცა აზრს მოჰყვება სათანადო ინსტრუმენტის ან პრეპარატის — საგნობრივის აღმნიშვნელი სახელი, რას იზამ? არც ზედმეტი ურჩობა და ხელოვნური, უდღეური ტერმინის შემოღება ვარგა.

სასიამოვნოა აღინიშნოს ენციკლოპედიის მრავალტომეულის მაღალხარისხოვანი ტექნიკური აღჭურვილობა. ვინ იცის, დღეში რამდენჯერ შეაწუხებს მას მკითხველი. ყოველთვის უნდა უხაროდეს გულსა და თვალსაც ასეთი წიგნის წამდაუწუმ გადაფურცვლა. წიგნის გამოცემის კულტურაც ხომ ჩვენი კულტურის გამოხატველია. მიხდა უნივერსიტეტის მრავალთასიანი კოლექტივის სახელით მადლობა ვუთხრა ამ საშური საქმის ყველა მონაწილეს, განსაკუთრებით პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს. ვუსურვოთ ენციკლოპედიის შემქმნელ კოლექტივს თავისი მოღვაწეობა გაგრძელოს დარგობრივი ენციკლოპედიის გამოცემის შემდგომი სრულყოფისათვის.

ნოდარ ამაღლობელი.

დაგვირგვინდა საშვილიშვილო საქმე

როგორც ცნობილია, ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომთა შედგენის სურვილმა ადრევე იჩინა თავი, ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში; შუა საუკუნეებში მათი როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა — ამას მოწმობს როგორც დასავლური, ისე მამადაფანურ აღმოსავლეთსა და ჩინეთში შედგენილი თხზულებები, რომელთა მიზანი იყო საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე დაგროვილი ცოდნის შეჯამება, ერთიანი სისტემისათვის სხვადასხვაგვარი ინფორმაციის დაკვემდებარება. ახალი ენციკლოპედიების გამოცემა ან ძველების შევსება-გადამუშავება პერიოდულად აქტუალურ ამოცანად იქცეოდა ხოლმე ორი მიზეზის გამო: დროთა განმავლობაში, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის სხვა დარგთა განვითარებასთან ერთად, ჩნდებოდა უამრავი ახალი ცნება, რომლებიც განმარტებას მოითხოვდა; ენციკლოპედიები არა მარტო ინფორმაციის კრებულებს წარმოადგენდა, არამედ გარკვეული იდეების პროპაგანდის მძლავრ საშუალებასაც. რომ აღარაფერი ვთქვათ შუა საუკუნეების ხსენებულ ენციკლოპედიებზე, საკმარისია გავიხსენოთ დიდროსა და დ'ალამბერის სახელგანმქმული ფრანგული ენციკლოპედია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეური შემზადების საქმეში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ XIX-XX საუკუნეების მანძილზე დიდი ენციკლოპედიები — „ბროტანიკა“, „ლარუსი“, ამერიკული, იტალიური გამოცემები ეროვნულ კულტურათა მუდმივ და აუცილებელ თანამგზავრებად იქცა. პერიოდულად ქვეყნდება მათი განახლებული გამოცემები. იგივე შეიძლება ითქვას რევოლუციამდელი და საბჭოთა რუსული ენციკლოპედიების შესახებ.

რა თქმა უნდა, არც საქართველოსათვის ყოფილა უცხო ინტერესი ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებებისადმი. ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებებს შუა საუკუნეთა ქართველ ავტორებთანაც ხომ ვხვდებით, მაგრამ ამ მხრივ მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც ცნობილია, საბას ლექსიკონი და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაა“. კეთილად არის მოსახსენებელი, რა თქმა უნდა, ივანე როსტომაშვილის რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონიც.

კარგად მახსოვს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შედგენის პირველი ცდა ოცდათიანი წლების დამდეგს, რომელიც მამინ უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა დიდი და სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა კი განხორციელდა.

და აი, დღეს ჩვენ უკვე გვაქვს დასრულებული სახით ჩვენი ეროვნული ენციკლოპედია, ნაყოფი უზარმაზარი, თავდადებული შრომისა. ამ შრომის სირთულესა და სამძიმეს ისინი უკეთ მიხვდებიან, ვისაც ლექსიკონების შედგენასთან რაიმე ურთიერთობა ჰქონია. დარწმუნებული ვარ, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას ღირსეულად შეაფასებს ჩვენი ფართო საზოგადოებრიობაც. მისდამი განსაკუთრებული ინტერესის დამადასტურებელია თუნდაც ენციკლოპედიის უჩვეულოდ დიდი ტირაჟი, რომელიც მაინც მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

რა თქმა უნდა, ამ ენციკლოპედიის შედგენა და გამოცემა (11 ძირითადი და 2 დამატებითი ტომი 12 წლის მანძილზე), როგორც ითქვა, ეროვნული პრესტიჟის საქმეა. მაგრამ ყველა, ვისაც მისთვის მიუმართავს, დამეთანხმება, რამდენად გვიადვილებს არსებობას ჩვენი ენციკლოპედია ყველა დარგის მუშაკებს, რამდენად ეროვნულია ეგი და როგორ გახდა უკვე სამაგიდო წიგნი, მუშაობის აუცილებელი შემწე და იარაღი. ასევე ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენი ენციკლოპედია მაღალ მეცნიერულ დონეზე დგას. მისი გარეგნული სახეც ‖გამორჩეულია.

გულით ვუღოცავ ენციკლოპედიის გამოცემის დამთავრებას მის ყველა მუშაკს, ვულოცავ მთელ ჩვენს საზოგადოებას ამ დიდზე დიდი, საშვილიშვილო საქმის ღირსეულ დაგვირგვინებას. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა: უკვე დაწყებულია ენციკლოპედიური სამტომეულის მომზადება, შესაძლებელია დარგობრივი ენციკლოპედიები. საქმეს რა გამოლევს! დარწმუნებული ვარ, რომ ეს ახალი ენციკლოპედიები ოდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურს.

ვახტანგ ბერიძე.

ჭეშმარიტად სიმგოლურია

ნებისმიერი კარგი წიგნის გამოცემა ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენაა. მაგრამ არაფერი შეედრება იმ ჭეშმარიტად გრანდიოზულ მოვლენას, რომლის მოწმენიც ახლა ვართ ყველანი და რამაც შეუძლებელია თითოეული ჩვენგანის დიდი აღფრთოვანება და კმაყოფილება არ გამოიწვიოს.

ქართული ენციკლოპედია ერთხელ კიდევ ამტკიცებს უდავო ჭეშმარიტებას — იმ რესპუბლიკის ენის ცოდნა, სადაც ცხოვრობ და მოღვაწეობ, აუცილებელია, რომ ეს სიმდიდრე კი არა, მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პირობაა.

იგორ გოგოძოლოვი.

ერის კულტურის მაჩვენებელი

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა უდავოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენი ერის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. ცხადია, რომ ისეთი სახის უნივერსალური ცნობარის შექმნა, როგორიც ენციკლოპედია, შესაძლებელი გახდა ინტელექტუალური განვითარების მაღალმა დონემ, რომელსაც ჩვენმა რესპუბლიკამ მიაღწია.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში სათანადო ადგილი ეთმობა ინფორმაციას ტექნიკის შესახებ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეევანდელ პირობებში, როდესაც მიღწევები ტექნიკის სხვადასხვა დარგში უდავოდ საერთო ყურადღებას იპყრობს და არსებით როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ენციკლოპედიაში შესული ტექნიკის საკითხებისადმი მიძღვნილი ინფორმაციაც საჭირო სისრულით ხასიათდება და უდავოდ მაღალ მეცნიერულ დონეზეა. ამასთან ერთად ეს ინფორ-

დღე მენციკლოპედიისა

დღეს ენციკლოპედიის დღეა საქართველოში. რაოდენ ნიშანდობლივია, რომ იგი დიდი ილიას ეუბილეს გრანდიოზული ზეიმის წინა დღით იმართება. ბარაქალა ქართული ენციკლოპედიის სწორად შემფასებლებსა და ენციკლოპედისტთა ღვაწლის დამფასებელო! ილია და ენციკლოპედია ამიერიდან განუყოფელ ცნებებად იქცევიან ჩვენში. ერის განათლებისა და კულტურისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული მამულიშვილის, დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის უკვდავების, მისდამი უსაზღვრო მადლიერებისა და პატივისცემის გულწრფელად გამოხატვის დღეებში ჩვენ აღვნიშნავთ პირველი ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემის გასრულებას. დიახ, ჩვენი კულტურული ცხოვრების ეს უდიდესი ეროვნული საქმეც ილიას ნათელ ხსოვნას მიესადაგა.

აღსრულდა ჩვენი დიდი წინაპრების ოცნება: ამიერიდან საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვშია, რომლებსაც ეროვნულ უნივერსიტეტებთან ერთად აქვთ ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიაც.

ენციკლოპედიის მნიშვნელობის შეფასებას დიდი დრო სჭირდება. ერთი კი ამთავითვე უნდა ითქვას: სამეცნიერო-ლექსიკოლოგიური მუშაობის ტრადიციებისა და ენციკლოპედიის შექმნის არაერთგზის

ეროვნულიც, უნივერსალურიც

მრავალტომეული ენციკლოპედია ყოველი განათლებული ქვეყნის საცნობარო ლიტერატურის უცილობელი ატრიბუტია, ამასთანავე — საზოგადოების განათლების ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორიც. თერთმეტტომიანი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის დასრულება, რაც მიმდინარე წელმა მოგვიტანა, ყველას ეშმარიტი კმაყოფილების გრძნობას გვგვრის.

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, სახალხო მეურნეობის მუშაკები, მასწავლებლობა, სტუდენტობა, სხვა მოსწავლე ახალგაზრდობა, მთელი ჩვენი საზოგადოება დიდად დავალებულია ენციკლოპედიის რედაქციისა და მისი აპარატის მრავალრიცხოვანი თანამშრომლებისაგან, პოლიგრაფისტებისა და ყველა იმათგან, ვინც ამ რთულ და პასუხსაგებ სამუშაოს, მე ვიტყოდი — ამ დიად საქმეს ერთგული შრომა მიუძღვნა.

ჩვენი ენციკლოპედიის ერთ-ერთი, თუ არა უმთავრესი, ღირსება ის არის, რომ აქ კარგად არის შერწყმული უნივერსალობისა და ეროვნულობის თვისებები. თავისი თანადროულობითა და ყოვლისმომცველობით, რაც უპირველესად მოეთხოვება ენციკლოპედიას, იგი უთუოდ უნივერსალურია. ამასთანავე იგი ეროვნულიც არის, თუმცა კი არ იზღუდება „ლოკალური“ მასალითა და ინტერესებით, არამედ შინაარსში მნიშვნელოვან წვლილად შემოაქვს საქართველოს კულტურის ისტორიასთან დაკავშირებული მასალა, ქართული მასალა.

ახლა, როცა ვხედავთ მიღწეულს, ახალი სურვილები და ამოცანები აღიძვრება ჩვენ წინაშე. აუცილებელია სრულად იყოს უმალვე გამოყენებული შემდგომი მუშაობისათვის ის პოტენციალი, რომელიც ჩამოყალიბდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციაში, კადრებს, ოპერატიული მუშაობის მექანიზმისა და საერთო გამოცდილების სახით.

საზოგადოება მოელის ამის შემდეგ დარგობრივ ენციკლოპედიურ ლექსიკონებს და სხვა მრავალი სახეობის საცნობარო გამოცემებს.

ჩვენს ეპოქაში ისე სწრაფად ვითარდება ცოდნა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და, საერთოდ, ცხოვრება, რომ საცნობარო ლიტერატურას ჩქარი მოძველების საფრთხე ემუქრება. ეს ერთგვარად ჩვენს ენციკლოპედიასაც არ ასცდება. ამიტომ წესად უნდა შემოვიღოთ: თუ ყოველწლიური დამატებანი (წელიწდეულნი) არა, 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც გამოიცეს ამა თუ იმ სახის დამატება, რომელიც ახალ ცნობებს, ზოგჯერ კი ძველთა დაზუსტებასაც შესძენს ენციკლოპედიას.

და ბოლოს, თავს უფლებას მივცემ, გამოვთქვა სურვილი: დაე ენციკლოპედიის მომხმარებელნი — ჩვენი მოსახლეობის წარმომადგენელნი, კერძოდ — ახალგაზრდა მოსწავლენი თუ მოღვაწენი, ხშირ-ხშირად გადმოიღებდნენ თაროებიდან ენციკლოპედიის ტომებს შიგ ჩასახედად, სახმარებლად.

ევგენი ხარაძე.

ეროვნული ენციკლოპედიის

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ეროვნული ლექსიკოგრაფიის მშვენებაა და ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის უმაგალითო აღმავლობის გამომხატველი სწორუპოვარი ძეგლი, ცხადლივ მანიშნებელი ძირძველი მწიგნობრული მეტყველების განვითარების უწყვეტობისა და ახალი ქართული მეცნიერული აზროვნების მაღალი დონისა.

ქართული საცნობარო ლიტერატურის ფესვები შორეულ წარსულში იკარგება: დღევანდლამდე მოღწეული უძველესი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი ათას წელს ითვლის. ქართული არქაული „სიტყვის კონის“ სათაგეები ძველ მთარგმნელებთან არის დაკავშირებული. მათ მიერ დიდი რუდუნებით და საქმის ცოდნით შედგენილი სკოლიოები, კომენტარები, მომცრო სიტყვარები უნიკალურ ცნობებს გვაწვდიან ძველი ლიტერატორების ფილოლოგიურ განსწავლულობაზე და ააკრავებენ უტყუარი ენობრივი ალღოს საფუძველზე ძირეულად ქართული სიტყვების ანალიზს. მთარგმნელობის გაფართოება იმთავითვე მწვავედ აყენებდა განმარტებითი თუ ენციკლოპედიური. ტიპის ლექსიკონების შედგენის საკითხს, მთარგმნებნდა „ძნელოანთა სიტყვათა“ ნუსხები, საფუძველი ეყრებოდა სიტყვების შედარებით მეთოდით შესწავლას. მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში კი ჩნდებიან პროფესიული ლექსიკოგრაფები, რომელთა სახელებთან უმეტესად არის დაკავშირებული ქართული ორიგინალური ლექსიკოგრაფიის ინტენსიური განვითარება. უთუოდ სიმპტომატურია, რომ საერთოდ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი სწორედ სწორედ ლექსიკონია (1629 წ.), ხოლო სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონს“ განმარტებათა სიზუსტით და ლაკონიზმით იმდროინდელი მსოფლიოს ლექსიკონთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს. ისიც აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით რუსეთში ჩასახულმა ქართველოლოგიურმა სამეცნიერო სკოლამ უპირველესად ფუნდამენტური ლექსიკონების გამოცემით გაითქვა სახელი. ნიშანდობლივია, რომ დიალექტოლოგიური ლექსიკონები ქართულ ენაზეც გამოაქვეყნეს პეტერბურგის უნივერსიტეტმა და აკადემიამ. აქვე დიდძალი მასალა დაგროვდა სრული ქართული აკადემიური ლექსიკონის შესადგენად, ხოლო ენციკლოპედიის შედგენა განუხორციელებელ ოცნებად დარჩა.

ამ სამემკვიდრეო ნიადაგზე ამოიზარდა ახალი ქართული ენციკლოპედია — ხანგრძლივი ტრადიციებით განაყოფიერებული და დღევანდელი უნივერსალური ლექსიკოგრაფიის მაღალ დონეზე შესრულებული.

სრულიად განსაკუთრებულია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დაკანონებული ნორმატივების საყოველთაო გავრცელებისა და დანერგვის დიდ ეროვნულ საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ ენციკლოპედია ყველაზე ფართო და ვრცელი ასპარეზია, სადაც მკითხველთა ნაირნაირ ფენებში რეალიზდება ენის დადგენილი და დახვეწილი ლიტერატურული ფორმები; ასეთი მასობრივი ფუნქცია არცერთ უნობრივ ძეგლს არა აქვს დაკისრებული და ნაზგასამეალია ქართული ენციკლოპედიის მეტყველების კულტურის მაღალი დონე, დამყარებული მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ქართული თანამედროვე საფეხურის მიხედვით მოწესრიგებულ და შემუშავებულ ორთოგრაფიულ-გრამატიკულ ნორმებზე.

ქართულ ენციკლოპედიას იმთავითვე უნდა გადაელახა ქართული სამეცნიერო ენის უნიფიკაციის დარგში არსებული სიძნელეები და თავი გაერთვა ფორმობრივი სიჭრელისათვის, რაც თან დაჰყვა ახალი ტერმინოლოგიის დამუშავებას. თუმცა სატერმინოლოგიო კომიტეტის დაარსების დღიდან მრავალი დარგობრივი ტერმინოლოგიის დადგენას ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ბევრი რამ იყო საბოლოოდ დასაზუსტებელი. ამასთან საენციკლოპედიო სტატიების მრავალფეროვნებამ დღის წესრიგში დააყენა უამრავი ტერმინის შექმნის აუცილებლობა.

ენციკლოპედიაში პირველად არის მოცემული საქართველოს ყველა დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული აღწერილობა, რამაც განაპირობა ტოპონიმიის შანამდე მოუგვარებელი საკითხების გადაწყვეტა. საგანგებო აღნიშნის ღირსია აგრეთვე ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ქართულად გადმოცემის პრინციპების შემუშავება და ამის საფუძველზე ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენა. ამ რთული საქმის მეთავეობაც ენციკლოპედიას ეკუთვნის. როგორც ვხედავთ, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის რთულ პროცესებში და სამეცნიერო ენის ფორმირებაში.

ჩვენ წინაშეა უდიდესი კულტურულ-ისტორიული ღირებულების უკვდავი ძეგლი: ქართულ ენაზე პირველად ჩვენი კულტურის ისტორიაში გადმოცემული და განმარტებული უნივერსალური ენციკლოპედიის ცნებები და ასახულია ქართული სინამდვილის მომცველი ზღვა მასალა სრული სისავსით, განხორციელებული ქართველი ენციკლოპედისტების ფასდაუდებელი მამულიშვილური ღვაწლის წყალობით. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გასრულება სადღესასწაულო მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული!

ზოთა ძიძიგური.

ტოემგად აკინძული საუნჯე

გასრულდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა. ჩვენი ენციკლოპედია პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგია. იგი თავისი სულისკვეთებით სოციალისტურია. იქ სისტემატიზებულია ახალი, საბჭოთა ცხოვრების ცოდნა. ენციკლოპედიაში ფართოდ არის გამოქვეყნებული მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მისი შემადგენელი ნაწილების — ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული სოციალიზმის ძირეული საკითხები, ნაჩვენებია პარტიის მიერ სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე რევოლუციური თეორიის შემოქმედებითი განვითარება, გაჩსნილია მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის უნივერსალური ხასიათი.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ფონზე შექმნილ ამ ენციკლოპედიაში კარგად არის ასახული მეგობრობის თემა, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავალი თაობის აღზრდისათვის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ქართული ენციკლოპედია თავისი სულისკვეთებით სოციალისტურია. იგი მართალია, ეროვნულია, მაგრამ მხოლოდ წმინდა ეროვნულ ჩარჩოებში როდი თავსდება. ჩვენი ენციკლოპედია უნივერსალურია, რადგან იგი

სწორშეოვარი ძეგლი

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ეროვნული ლექსიკოგრაფიის მშვენებაა და ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის უმაგალითო აღმავლობის გამომხატველი სწორუპოვარი ძეგლი, ცხადლივ მანიშნებელი ძირძველი მწიგნობრული მეტყველების განვითარების უწყვეტობისა და ახალი ქართული მეცნიერული აზროვნების მაღალი დონისა.

ქართული საცნობარო ლიტერატურის ფესვები შორეულ წარსულში იკარგება: დღევანდლამდე მოღწეული უძველესი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი ათას წელს ითვლის. ქართული არქაული „სიტყვის კონის“ სათაგეები ძველ მთარგმნელებთან არის დაკავშირებული. მათ მიერ დიდი რუდუნებით და საქმის ცოდნით შედგენილი სკოლიოები, კომენტარები, მომცრო სიტყვარები უნიკალურ ცნობებს გვაწვდიან ძველი ლიტერატორების ფილოლოგიურ განსწავლულობაზე და ააკრავებენ უტყუარი ენობრივი ალღოს საფუძველზე ძირეულად ქართული სიტყვების ანალიზს. მთარგმნელობის გაფართოება იმთავითვე მწვავედ აყენებდა განმარტებითი თუ ენციკლოპედიური. ტიპის ლექსიკონების შედგენის საკითხს, მთარგმნებნდა „ძნელოანთა სიტყვათა“ ნუსხები, საფუძველი ეყრებოდა სიტყვების შედარებით მეთოდით შესწავლას. მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში კი ჩნდებიან პროფესიული ლექსიკოგრაფები, რომელთა სახელებთან უმეტესად არის დაკავშირებული ქართული ორიგინალური ლექსიკოგრაფიის ინტენსიური განვითარება. უთუოდ სიმპტომატურია, რომ საერთოდ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი სწორედ სწორედ ლექსიკონია (1629 წ.), ხოლო სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონს“ განმარტებათა სიზუსტით და ლაკონიზმით იმდროინდელი მსოფლიოს ლექსიკონთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს. ისიც აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით რუსეთში ჩასახულმა ქართველოლოგიურმა სამეცნიერო სკოლამ უპირველესად ფუნდამენტური ლექსიკონების გამოცემით გაითქვა სახელი. ნიშანდობლივია, რომ დიალექტოლოგიური ლექსიკონები ქართულ ენაზეც გამოაქვეყნეს პეტერბურგის უნივერსიტეტმა და აკადემიამ. აქვე დიდძალი მასალა დაგროვდა სრული ქართული აკადემიური ლექსიკონის შესადგენად, ხოლო ენციკლოპედიის შედგენა განუხორციელებელ ოცნებად დარჩა.

ამ სამემკვიდრეო ნიადაგზე ამოიზარდა ახალი ქართული ენციკლოპედია — ხანგრძლივი ტრადიციებით განაყოფიერებული და დღევანდელი უნივერსალური ლექსიკოგრაფიის მაღალ დონეზე შესრულებული.

სრულიად განსაკუთრებულია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დაკანონებული ნორმატივების საყოველთაო გავრცელებისა და დანერგვის დიდ ეროვნულ საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ ენციკლოპედია ყველაზე ფართო და ვრცელი ასპარეზია, სადაც მკითხველთა ნაირნაირ ფენებში რეალიზდება ენის დადგენილი და დახვეწილი ლიტერატურული ფორმები; ასეთი მასობრივი ფუნქცია არცერთ უნობრივ ძეგლს არა აქვს დაკისრებული და ნაზგასამეალია ქართული ენციკლოპედიის მეტყველების კულტურის მაღალი დონე, დამყარებული მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ქართული თანამედროვე საფეხურის მიხედვით მოწესრიგებულ და შემუშავებულ ორთოგრაფიულ-გრამატიკულ ნორმებზე.

ქართულ ენციკლოპედიას იმთავითვე უნდა გადაელახა ქართული სამეცნიერო ენის უნიფიკაციის დარგში არსებული სიძნელეები და თავი გაერთვა ფორმობრივი სიჭრელისათვის, რაც თან დაჰყვა ახალი ტერმინოლოგიის დამუშავებას. თუმცა სატერმინოლოგიო კომიტეტის დაარსების დღიდან მრავალი დარგობრივი ტერმინოლოგიის დადგენას ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ბევრი რამ იყო საბოლოოდ დასაზუსტებელი. ამასთან საენციკლოპედიო სტატიების მრავალფეროვნებამ დღის წესრიგში დააყენა უამრავი ტერმინის შექმნის აუცილებლობა.

ენციკლოპედიაში პირველად არის მოცემული საქართველოს ყველა დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული აღწერილობა, რამაც განაპირობა ტოპონიმიის შანამდე მოუგვარებელი საკითხების გადაწყვეტა. საგანგებო აღნიშნის ღირსია აგრეთვე ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ქართულად გადმოცემის პრინციპების შემუშავება და ამის საფუძველზე ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენა. ამ რთული საქმის მეთავეობაც ენციკლოპედიას ეკუთვნის. როგორც ვხედავთ, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის რთულ პროცესებში და სამეცნიერო ენის ფორმირებაში.

ჩვენ წინაშეა უდიდესი კულტურულ-ისტორიული ღირებულების უკვდავი ძეგლი: ქართულ ენაზე პირველად ჩვენი კულტურის ისტორიაში გადმოცემული და განმარტებული უნივერსალური ენციკლოპედიის ცნებები და ასახულია ქართული სინამდვილის მომცველი ზღვა მასალა სრული სისავსით, განხორციელებული ქართველი ენციკლოპედისტების ფასდაუდებელი მამულიშვილური ღვაწლის წყალობით. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გასრულება სადღესასწაულო მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული!

ზოთა ძიძიგური.

დღეს თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის დასრულებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელიც ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულის შემადგენელი ნაწილია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

პირველი ქართული საბჭოთა 11-ტომიანი უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემაში დიდი წვლილისთვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ლალი ავთანდილის ასული ავალიანი — უფროსი სამეცნიერო **რედაქტორი, რევაზ შალვას ძე ავალიანი** — უფროსი სამეცნიერო **რედაქტორი, ალექსი ალექსის ძე არდაშელი** — უფროსი სამეცნიერო **რედაქტორი, ლილოსი გიორგის ასული გელაძე** — მთავარი **ბიულეტრის მოადგილე, ლამარა თეიფილეს ასული გიორგობიანი**— **უფროსი რედაქტორი, ნინო ვლადიმერის ასული ვაჩეიშვილი** — **უფროსი სამეცნიერო რედაქტორი, მედეა პავლეს ასული იაშვილი**— **უფროსი სამეცნიერო რედაქტორი, მარინე ანტონის ასული ილურიძე** — **უფროსი სამეცნიერო რედაქტორი, ვახტანგ კონსტანტინეს ძე კეზელი** — **კადრების უფროსი ინსპექტორი, მანანა ნიკოლოზის ასული მაკალათია** — **უფროსი სამეცნიერო რედაქტორი, ლიანა პორფილეს ასული მანიავა** — **სამეცნიერო რედაქტორი, ელენე მიხეილის ასული მარტაშვილი** — **უფროსი სამეცნიერო რედაქტორი, ვალერიან ნიკოლოზის ძე მდინარაძე** — **უფროსი სამეცნიერო რედაქტ

ლიტერატურა და მშვიდობა განუყოფელია

(დასასრული)

განსაკუთრებული აზრია იმაში, რომ კონფერენცია იმართება ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღესასწაულობათა დღეებში. ეს დღესასწაული განსაკუთრებულია არა მარტო იმიტომ, რომ ილიას უკიდავი მხატვრული სახეები ამშვენებს მსოფლიო ლიტერატურას და ყოველი მისი თანამემამულის სამართლიანი სიამაყის საკანია, არამედ იმიტომაც, რომ ილია ჭავჭავაძეს პოეტის, პროზაიკოსის, კრიტიკოსის, პუბლიცისტის მთელი თავისი მძლავრი ნიჭით, მთელი თავისი დაუცხრომელი თავდადებითა და უაღრესად მრავალმხრივი პრაქტიკული საქმიანობით ნიადაგი მოუმზადა თავისი ხალხის ეროვნულ და სოციალურ განთავისუფლებას.

ზ. ა. ჩხეიძემ გამოთქვა რწმენა, რომ თბილისის შეხვედრა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ლიტერატორებს უფრო სრულად გამოავლინონ და გამოიყენონ მხატვრული სიტყვის ამოუწურავი შესაძლებლობანი თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის ბსნისა და შემდგომი განვითარებისათვის, ღირსეულ წვლილს შეიტანს მშვიდობისა და კაცობრიობის აყვავებისათვის ბრძოლაში.

— მსოფლიო ყოველთვის მდიდარი იყო მოაზროვნეებით,— თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ნ. თავხელიძემ. — ისინი ჰუმანიზმის მაღალ იდეალებს ქადაგებდნენ. ასეთი მოაზროვნეებით მდიდარია ჩვენი თანამედროვეობაც. ხალხები ამაყობენ ამ ადამიანებით. ჩვენს შორის ცხოვრობს, მოქმედებს, მშვიდობის, თავისუფლების, ჰუმანიზმის, პროგრესისადმი მოგვიწოდებს დიდი ქართველი მწერალიც, მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.

დიდ მწერალს ყოველთვის აღელვებდა მსოფლიოს ხალხთა ბედი. მგზნებარე პუბლიცისტურ სტატიებსა და გამოსვლებში იგი იცავდა ირლანდიელი, პოლონელი და სხვა ხალხების ინტერესებს. პოეტმა მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა სამშობლოს სამსახურს, მაგრამ იგი არასდროს არ უპირისპირებდა ერთმანეთს ქართველი ერისა და სხვა ხალხების ინტერესებს. მუდამ ისწრაფოდა, რომ ეს ინტერესები — ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ინტერესები — ჰარმონიულად ყოფილიყო შეხამებული.

ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი განუყოფელი ნიშანია ქართული საბჭოთა ლიტერატურისა, რომელიც ღირსეულად განაგრძობს მთელი წინამორბედი კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საუკეთესო ტრადიციებს. ქართული ლიტერატურა სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ამასთან მდიდრდება მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებით. რაც უფრო ფართოდ განვითარდება კონტაქტები, მით უფრო უკეთ გაუგებენ ხალხები ერთმანეთს. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ ურთიერთგაგებას. სწორედ ამ მისწრაფების გამოვლინებაა ახლანდელი კონფერენციაც.

მოხსენება „თანამედროვე ცივილიზაციის ბედი და მსოფლიო ლიტერატურები“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. თავხელიძემ.

„ილია ჭავჭავაძის ჰუმანიზმის მსოფლმხედველური საფუძვლები“ — ეს თემა იყო გაშუქებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის, რუსპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. ზ. ჭავჭავაძის მოხსენებაში.

ამ დღეს ფორუმის ტრიბუნა დაეთმო ცნობილ საბჭოთა კრიტიკოსს, პროფესორ გ. ბელაიას, უნგრელ მეცნიერსა და მწერალს, ქართული კულტურის დიდ მეგობარს ლაიოშ ტარდის, საარლანდის რადიოსა და ტელევიზიის რედაქტორს, ქართული პოეზიის ანთოლოგიის შემდგენელსა და გამომცემელს მარტინ ბუზგორნს, ცნობილ იაპონელ გამომცემელს, თავის ქვეყანაში ქართული კულტურის პროპაგანდისტს კონიამა რიოჰეის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ჩეხური და მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს ჰანა ჰრზალოვას, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორს, კავკასიოლოგ გიორგი შარაშიძეს, ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორს, ქართველოლოგ ლუიჯი მაგაროტოს, ოქსფორდის (ამერიკის შეერთებული შტატები) უნივერსიტეტის პროფესორს ნოელ პოლკს, მილანის უნივერსიტეტის პროფესორს ერიდანო ბოსარელის, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს, პროფესორ ა. დ. ალექსიძეს, კელნის უნივერსიტეტის პროფესორს, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს ვერნერ კელერს, გამომცემლობა „ფოლკ უნდ ვისენის“ მთავარ რედაქტორს, პროფესორ კურტ ბეტჰერს.

ისინი ლაპარაკობდნენ უმთავრესზე, ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ენაზე, ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა წვლილი უნდა შეიტანოს მხატვრულმა ლიტერატურამ ცივილიზაციის ხსნისათვის კაცობრიობის ბრძოლაში. დღეს, აღნიშნეს ორატორებმა, როცა ჰამლეტის ცნობილი კითხვა: „ყოფნა-არყოფნა“ უკვე არა ცალკეული ინდივიდუმის, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე წამოიჭრა, ლიტერატურის როლსა და პროგრესულ მიმართულებას, მის ჰუმანისტურ შინაარსსა და ხატოვან დარწმუნებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ლიტერატურას შეუძლია დაამკვიდროს სიცოცხლე, მსოფლიოს სილამაზე, ზნეობრივი იდეალები, იგი აახლოვებს ხალხებს. ეს აქსიომა მტკიცებას არ საჭიროებს, და დღეს მთელი მსოფლიოს მწერლებს არა აქვთ უფლება იყვნენ უბრალო მაყურებლები იმისა, რაც დედამიწაზე ხდება. რადგან, როგორც პოეტმა თქვა, თანამედროვე ლიტერატურას უბრალოდ ვერ შექმნი, თუ არ იქნება პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანი“.

— დღევანდელი კონფერენცია განიხილავს მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც აღელვებს ყველა დროის ადამიანებს, — თქვა, კერძოდ, გ. ა. ბელაიამ. — და ის, რომ კონფერენცია მიმდინარობს ილია ჭავჭავაძის იუბილეს დღეებში და ეძღვნება მის შემოქმედებას, სავსებით კანონზომიერია, რადგან ეს პრობლემა შეესაბამება დიდი ქართველი მწერლის ფილოსოფიური აზროვნების გონებისა და სულის გაქანებას. მაგრამ ლიტერატურას მოეთხოვება სწორად ჩაუსახოს იმედი მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, ჩაუნერგოს რწმენა, რომ კეთილი უთუოდ სძლევს ბოროტს. ამ მხრივ შესანიშნავი ნიმუშია ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება და მისი ტრადიციების მემკვიდრე ქართული ლიტერატურა.

უდიდესი კმაყოფილების გრძნობით აღიქვეს უნგრელი მწერლის ლაიოშ ტარდის ცნობა, რომელმაც თქვა:

— უნგრეთის დელეგაცია ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულზე ზელცარიელი არ ჩამოსულა. ჩვენ ჩამოვიტანეთ ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი მოთხრობის „ოთარაანთ ქვრივის“ მეორე გამოცემა, რომელიც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში პირველად ამ იქი წლის წინ გამოვიდა.

უნგრეთშიც ისევე ფართოდ დღესასწაულობენ ილია ჭავჭავაძის იუბილეს, როგორც მის სამშობლოში. დღეს კიდევ ერთხელ ვუცხადებთ სიყვარულს ქართველ ხალხს, ზუსტად ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძე თავის დროზე სიყვარულს უცხადებდა სხვა ხალხებს.

ამაღელვებლად გაისმა იტალიელი მეცნიერის — ილია ჭავჭავაძის შემოქმედების დიდი მცოდნისა და დამფასებლის ლუიჯი მაგაროტოს გამოსვლა. იგი არის ავტორი სტატიებისა ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომლებიც მზადდება იტალიაში გამომავალი სხვადასხვა ენციკლოპედიისათვის. პოეტის იუბილესათვის ლუიჯი მაგაროტომ თარგმნა ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „სარჩობელაზედ“. ქართული ლიტერატურა, თქვა მან თავის გამოსვლაში, უმაღლესი დონისაა, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები კი ამ ლიტერატურის მწვერვალია. მისმა მოხსენებამ „ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილში“ ხედვის პოეტიკა“ კონფერენციის მონაწილეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

— საქართველოდან ძალიან შორსაა ჩემი სამშობლო, — თქვა თვალსაჩინო იაპონელმა გამომცემელმა კონიამა რიოხეიმ, — მაგრამ თქვენი სამშობლო ახლობლად მიაჩნია ჩემს გულს. ახლა გამოვდივარ ამ ტრიბუნიდან. ბუნებრივია, ჩემი თანამემამულენი ვერ მხედავენ და ვერ მისმენენ, მაგრამ ტექნიკის წყალობით ამ საღამოსვე 8 საათზე ტოკიოელები და მთელი იაპონია მნახავენ თავიანთი ტელევიზორების ეკრანებზე. მე მათ ვესაუბრები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ამრიგად, იაპონელები თქვენი დიდი ეროვნული დღესასწაულის თანამონაწილენი გახდებიან.

საერთაშორისო კონფერენცია მუშობას დაამთავრებს 22 ოქტომბერს.

(საქინფორმი)

„თბილისობის“ წინასიტყვაობა

ქმოგისა და ერთგულების დღესასწაული

თავად ისტორიის მიერ შედგენილი წლევანდელი ზეიმის „გრაფიგში“ რესპუბლიკის დედაქალაქის დღეობა ორ ღირსშესანიშნავ თარიღს დაემთხვა: ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავსა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს. კალენდარულმა თანამიმდევრობამ სიმბოლურად ასახა ისტორიული მემკვიდრეობითობა. როცა „თბილისობას“ აღვნიშნავთ, ყოველთვის ერთგულების ფიცს ვაძლევთ წარსულსა და მომავლის ოცნებას.

იმაზე, თუ როგორ მოიწყობა რესპუბლიკის დედაქალაქის რიგით მეცხრე დღესასწაული, საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით გვესაუბრება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნათელა ლალიძე:

— პირველ დღეს, 24 ოქტომბერს „თბილისობა“ დაიწყება ილია ჭავჭავაძის იუბილეს დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებებით, რომლებიც ორგანულად ერწყმის ქალაქის ზეიმს. ეს ბუნებრივიცაა: დიდი ადამიანის ცხოვრება სამუდამოდ უკავშირდება მისი მშობელი ხალხის ბედს.

ამავე დროს, „თბილისობის“ ყველა საზეიმო ღონისძიება აღსავსე იქნება ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების სულისკვეთებით. რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები ხომ არსებითად ანგარიშს აბარებენ ხალხს, პარტიას, თუ როგორ ასრულებენ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული გარდაქმნისა და დაჩქარების პროგრამას, რით ეგებებიან თბილისელები ოქტომბრის იუბილეს. ეს განსაზღვრავს ჩვენი ქალაქის ზეიმის გაწყობილებასაც და შინაარსსაც, რომელსაც, როგორც ყოველთვის აღვნიშნავთ რესპუბლიკის ყველა რაიონის წარმომადგენლებთან ერთად.

ბევრ სტუმარს ველით სხვა რესპუბლიკებიდან, უცხოეთიდან — ლუბლიანის (იუგოსლავია), ინსბრუკის (ავსტრია), საარბრიუკენის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) დელეგაციებს. ეს მხოლოდ თანამშრომლობისა და მეგობრობის დასტური როდია. 24 ოქტომბერს აქვს თავისი დანიშნულება — შუადღისას პლანეტის ყველა ქალაქი აღნიშნავს „მშვიდობის ტალღას“, რომელიც პიროსმანში დაიწყება. ჩვენში მოეწყობა მიტინგები, მანიფესტაციები, მშვიდობის მომხრეთა ხელმოწერების შეგროვება. ხოლო 25 ოქტომბერს ძმობის მოედანზე, სადაც ტრადიციისამებრ ზეიმზე „თბილისი — მეგობრობისა და ძმობის ქალაქი“ დაჯილდოვდებიან სოცშეჯიბრების გამარჯვებულები და აირჩევენ საპატიო მოქალაქეებს, რესპუბლიკის დედაქალაქს გადასცემენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიპლომს „ქალაქი — მშვიდობის დესპანი“. ეს ჯილდო თბილისს მიენიჭა ჩვენი ქვეყნის ექვს ქალაქსა და მსოფლიოს ორმოცდაათ ქალაქს შორის.

— თბილისელებმა ყველაზე პირველებმა დაიწყეს ქალაქის დაბადების დღის აღნიშვნა. ცხრა წლის მანძილზე „თბილისობას“ ბევრი მომდევარი გამოუჩნდა.

— ეს, უთუოდ, მასტიმულირებელი ფაქტორია. ტრადიციის სიახლით შობილი აღფრთოვანება დროთა განმავლობაში შეცვალა ზეიმის ხასიათისა და მასშტაბისადმი უფრო მომკითხველმა დამოკიდებულებამ, სწრაფვამ გაგვიღრმავებინა მისი გავლენა ქალაქელთა ცხოვრებასა და მოთხოვნილებებზე. გახსოვთ, „თბილისობის“ პირველი დღე წინათ მხოლოდ საკაჭრო ბაზრობებით შემოიფარგლებოდა. ისინი ამჯერადაც გაგვახარებენ მიწის მრავალფეროვანი ნობათით, ხალხური სარეწების, კოოპერატივების ნაკეთობებით, მაგრამ ახლა მათ „მეტოქეობას გაუწევენ“ სხვაგვარი ბაზრობები. მაგალითად, პლეხანოვის პროსპექტზე ფილარმონიის ბაღში გაიმართება ჯაზ-კონცერტი და მოდების ჩვენება. აქ გასალაგებელი ნორჩი მაყურებლის, თოჯინების მინიატიურების თეატრები პირდაპირ ქუჩაში წარმოადგენენ სპეციალურ პროგრამას. რკინიგზელის სახლის წინ გაიშლება პოლიტიკური პლაკატის გამოფენა, „თბილისქალაქპროექტის“ ინსტიტუტის ვესტიბიულში კი — არქიტექტორთა ნაშუშევრების გამოფენა.

ამავე დროს — ნაშუადღევს — რუსთაველის პროსპექტზე ოპერის თეატრის შენობასთან კონცერტს გამართავს კონსერვატორიის კამერული ორკესტრი, გრიბოედოვის სახელობის თეატრის წინ სამეჯლისო ცეკვების ხელოვნებას უჩვენებენ რეცესტრალური ხალხის კოლექტივი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლთან გამოვლენ კავშირგამშულობას სახლის თვითმოქმედი მსახიობები. საქართველოს სუროთების გალერეის კედლებთან სურათებისა და ტანსაცმლის მოდელების გამოფენას გაშლიან სამხატვრო აკადემიის სტუდენტები. და აი, რა მინდა ხაზგასმით აღვნიშნო. თავიანთი ნამუშევრების გაყიდვის შემდეგ აღებულ სახსრებს სტუდენტები გადარიცხავენ კულტურისა და მშვიდობის რესპუბლიკურ ფონდებში. ცდილობდნენ რა გაეფართოებინათ ზეიმის ჩარჩოები (საიდუმლო არ არის, რომ ზოგიერთი ღონისძიების კამერულობამ გამოიწვია მოქალაქეთა საყვედური) მიმწყობები შეეცადნენ გაეღრმავებინათ მისი ემოციური ზეიმოქმედება. ბევრ საგამოფენო დარბაზში, მუზეუმში მზადდება სპეციალური სტენდები, ექსპოზიციები, რომლებიც ასახავენ თბილისის წარსულსა და აწმყოს.

— მოუხედავად ამისა, ზეიმს ექნება, ალბათ თავისი ეპიცენტრი?

— დიახ, ამჯერად ლესელიძის ქუჩაზე ქალაქელები მოუთმენლად ელიან და თვალს ადევნებენ, როგორ იბადება „თბილისობის“ არქიტექტურული პრემიერები. და როგორც წინათ, ახლაც მშენებლები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ყველაფერი დროზე მოასწრონ.

არაფერს გეტყვით სანაბიობის სცენარზე, რომელსაც გაითამაშებენ, კერძოდ, მცხეთის თეატრის მსახიობები. ეს „ქუჩის დღესასწაულის“ რეჟისორის ლევან მირცხულავას შემოქმედებითი საიდუმლოა. ვიტყვი მხოლოდ, რომ შეეხვდებით გასული საუკუნის დამლევისა და ახლანდელის დამდეგის ვითარებას, ქალაქის მასაში რევოლუციური სულისკვეთების ჩასახვის პერიოდს, და ა. შ. ეს ზეიმი ორგანულად გადაიზრდება ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ ფესტივალად „ამ ძმითა ხარ ძლიერი“, რომელიც გაიმართება გორგასლის ქუჩაზე.

პროგრამა ძალზე ვრცელია ქალაქის ყველა რაიონში და მისი განხორციელება დამოკიდებულია ორგანიზატორთა სიმარჯვეზე, მონაწილეთა საშემსრულებლო ხელოვნებასა და კულტურაზე. „თბილისობა“ ყველას აზიარებს კეთილსინდისიერი შრომის, გულითადი დამოკიდებულებისა და საშშობლოსადმი დიდი ერთგულების ტრადიციებს.

საუბარი ჩაიწერა

ი. სუდაკოვამ.

თავისი სიცოცხლით მოამავლის გამაცისკროვნებელი

ამჯერად მისი მარადიული ხსოვნა შშობელი მხარის, კახეთის მიწაზე მოიტანეს მთელი საბჭოთა კავშირიდან შეკრებილმა მეცნიერებისა და ლიტერატურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა. მათ თავი მოიყარეს, რათა თავისი სიცოცხლით ქართველი ერის მომავლის გამაცისკროვნებელი ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე ხალხს გააცნონ „ერის მამის“ მრავალმხრივი, ჭეშმარიტად ყოვლისმომცველი მოღვაწეობის ამსახველი თავიანთი გამოკვლევები.

ილიას შემოქმედება, მოძმე ხალხების ლიტერატურათა განვითარებასთან მისი კავშირი გახდა ღრმა ანალიზის საგანი კონფერენციაზე, რომელმაც მუშაობა დაიწყო თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. თავხელიძემ.

კონფერენციაზე, რომლის სახელწოდებაა „ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურები“, მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე — „ი. ჭავჭავაძის ესთეტიკის თავისებურებანი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შ. ძიძიგური—„ი. ჭავჭავაძე ახალი ქართული ლიტერატურული ენის ფუძემდებელი“, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. ეფუნტოვი — „ი. ჭავჭავაძე და სრულიად რუსეთის რევოლუციური მოძრაობა“, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ვორობიოვა — „დეკაბრიზმის ტრადიციები ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში“.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ი. ჭავჭავაძეს წილად ხვდა რთული და ძნელი მისია — სათავეში ჩასდგომოდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ განმათავისუფლებელ მოძრაობის. ხოლო თავის მხრივ რუს დემოკრატ რევოლუციონერებს, კერძოდ, ბ. ბელინსკის საჭირველო ეგზემპლიარი ბობოქარი ცხოვრებისა და თამამი ოცნებების, უშრეტი პოეზიის აღთქმულ ქვეყნად და ისინი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდნენ რუსეთისა და საქართველოს შინაგან ნათესაობას.

წყვეტდა რა თავის მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებაში იმ ან ახალი ეპოქის ისტორიულ ამოცანებს, რომელმაც 1905 წლის პირველი რევოლუცია მოამზადა. ილია ჭავჭავაძე შემოქმედებითად აღიქვამდა თავისი ლიტერატურული წინამორბედებისა და თანამედროვეების იდეურ-მხატვრულ გამოცდილებას. განაგრძობდა და განავითარებდა ლიტერატურის სოციალური პათოსის, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის, ხალხის ცხოვრებისადმი ღრმა და შეუნარჩუნებელი ყურადღების, ეროვნულ პრობლემათა პერსპექტიული გადების დეკაბრისტულ ტრადიციებს, რაც გულისხმობდა ნაყოფიერ და შუამდივ კონტაქტს რუსი ხალხის, ისევე როგორც რუსეთისა და მთელი მსოფლიოს სხვა ხალხების მოწინავე, დემოკრატიულ კულტურასთან. ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორიც არიან პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი და ტოლსტოი, წერდა ილია 1886 წელს, თავიანთი ღვაწლით გვიჩვენებენ, რა თვალსაზრისით არის მათი ხალხი ხალხთა დიდი ოჯახის წევრი, რა წვლილსა და საუნჯეს მატებს იგი მეცნიერებისა და ხელოვნების იმ დიდებულ ტაძარს, რომელიც ყველას იკუთვნის რწმენის, ეროვნებისა თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის განურჩევლად.

ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოებები შესაძლებლობას გვაძლევს თვალი გავადევნოთ იმას, თუ რა რთული გზებით მკვიდრდებოდა სხვა ხალხების კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ურთიერთმოქმედების პროგრესული ლიტერატურული ტრადიციები გვრკვევენ ისტორიულ ეტაპზე მშობლიური ლიტერატურის ამოცანების შესაბამისად, თუ რა პოლემიკურად აღიქმებოდა ზოგჯერ წინამორბედთა, მათ შორის ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ესთეტიკური ეპოქის მწერალთა მხატვრული გამოცდილება. ეს ტენდენცია, რომელიც პოეზიის საზოგადოებრივი როლის შესაბამ ა. ს. პუშკინის დეკაბრისტულ იდეებს ეხმიანება, ილიას მთელ რიგ პოეტურ ქმნილებებში შეიმჩნევა. რუსი მწერლების გამოცდილება ახლობელია ქართველი მწერლისათვის განმათავისუფლებელი ბრძოლის სოციალური პათოსით, დემოკრატიზმით ჰუმანურობით, ლიტერატურული სიტუაციის მსგავსებით. ეს მსგავსება ეფუძნება იმას, რომ დეკაბრისტების წინამორბედებიდან მათ მიმდევრებამდე — ლიტერატურაში პირველ რევოლუციონერებამდე — როგორც რუსული, ისე ქართული ლიტერატურა თავს იღებდა მოწინავე საზოგადოებრივი შეგნების გამოხატვის, ხალხის გარევოლუციურების ფუნქციის.

ოქტომბრამდელი ეპოქის დიდი მწერლების მხატვრულ მემკვიდრეობასა და ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას როცა სწავლობდნენ, ხაზგასმით ითქვა კონფერენციაზე, მკვლევრები ამ ბოლო ხანებამდე ყოველთვის ამახვილებდნენ ყურადღებას იმაზე, რომ ჩვენი ეროვნული ლიტერატურების კლასიკოსებმა, რომლებსაც თანამიმდევრული მარქსისტული მსოფლმხედველობა არ ჰქონდათ, ვერ გაეთხატეს თავიანთ შემოქმედებაში ახალი ისტორიული ძალის — პროლეტარიატის მომწიფება.

არადა, ემკობინებოდა მთელი სიღრმით წარმოგვიჩინა, თუ რა უდიდესი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს ამ მწერლებმა სოციალისტური რევოლუციის წინ. მთელი მათი შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი მოღვაწეობა, მგზნებარე ეგალაშჭრება სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და თავისუფალი ადამიანის ქომაგობა, ადამიანებისა და ხალხების ინტერნაციონალური ძმობის ქადაგება შეადგენს უზარმაზარ სოციალურ-სულიერ, ზნეობრივ და ინტელექტუალურ-ფილოსოფიურ წვლილს სოციალიზმის იდეურ საგანძურში. ისიც ცნობილია, რომ ბევრი რევოლუციონერი-დემოკრატი, სხვადასხვა ლიტერატურის წარმომადგენლები, მათ შორის, ეხადია, ილია ჭავჭავაძეც, კარგად იცნობდა მარქსიზმის ფუძემდებელთა ნაშრომებს, ზოგიერთი კი უშუალოდაც მონაწილეობდა ჩვენი დროის ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი მოძრაობის პროპაგანდაში.

როცა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის საკითხებს ვიკვლევთ და გულმოდგინედ კუკვირდებით იმას, თუ რა უძღოდა მას წინ, რა უმზადებდა ნიადაგს ახალ მეთოდს, არ შეიძლება არ შეენიშნოთ, რომ კლასიკოსი მწერლები შეგნებულად თუ ინტუიციით განვრეტდნენ მომავალ სოციალურ გარდაქმნებს, რომ მათ ღრმად, მართლაც სოციალისტურად სჯეროდათ მშრომელი ადამიანის, მისი ისტორიული დანიშნულებისა. არსებობს „გრძნობათა სოციალიზმის“ ცნება. მის წარმოშობას, მომწიფებასა და დამკვიდრებას დასდო საწყისი ამაგი დიდმა ქართველმა მწერალმა, მოაზროვნემ და საზოგადო მოღვაწემ ილია ჭავჭავაძემ. ახალი ძველის წიაღში იბადება. ოქტომბრამდელი პერიოდის მოწინავეს, ზედმიწევნით ხალხური, რეალისტური ლიტერატურა, რომელიც თვითონაც სოციალ-დემოკრატიული იდეალიდან სოციალისტურ-რევოლუციურ იდეალამდე მაღლდებოდა, ყველაფერს აკეთებდა ახლის გასაძლიერებლად. ილიას ნაწარმოებები, კერძოდ, მისი გულშიჩამწვდომი მოქალაქეობრივი ლირიკა, პოემები „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „დედა და შვილი“, მოთხრობები „ოთარაანთ ქვრივი“, „კაციჭამიანი?!“, „სარჩობელაზედ“ და სხვები ამის საუკეთესო დასტურია. მათი საფუძვლიანი და დაინტერესებული ანალიზი გამოავლენს იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ზნეობრივ, სულიერ წყაროებს მათი კონკრეტული და ხილული ეროვნულ-თავისებური მხატვრული არსით.

ილია ჭავჭავაძე იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც გამოირჩეოდნენ ცხოვრების, საზამდელის ყველა გამოვლინებისადმი დაინტერესებული აქტიური დამოკიდებულებით. მის ლიტერატურულ საჭმიანობაში გამოიკვეთა ახალი საზოგადოებისა და ახალი ადამიანის თაობრმრეველის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული თვისებები, გამოკლნდა მსოფლიოს რევოლუციური განახლების ჰუმანისტური აზრი.

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

სურათებზე: დიდი ილიას საიუბილეოდ ჩამოსული უცხოელი და საბჭოთა სტუმრები ეცნობიან მეტეხის ძველ ციხეს; ფირონმანის მუზეუმში ათვალიერებენ განახლებულ ეკსპოზიციას; სასტუმრო „ოვერიანთან“.

გ. კიკავაძისა და ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმი).

„თბილისობის“ წინასიტყვაობა

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ილიას დღეებია საქართველოში, და ბუნებრივია, რომ ყველას სურს თავისებური საჩუქარი უძღვნას დიდი მამულიშვილის იუბილეს. დღეს 20 საათზე თბილისის ს. ახმეტელის სახელობის სახელმწიფო თეატრში

იხსნება ახალი სეზონი

წარმოდგენით „ბაზალეთის ტბის ძიძას“, რომლის ინსცენირება და დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს იური კაკულიას, სპექტაკლის მხატვარია ივენგენი ჭელიძე, კომოზიტორი — იოსებ კეკელაძეძე, ქორეოგრაფი — რევაზ წულუკიძე. მთავარ როლში მაყურებელი ნახავს რესპუბლიკის სახალხო არტისტს შალვა ხერხეულიძეს, რომელიც თეატრმა სპეციალურად გორიდან მოიწვია. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ნუგზარ ყურაშვილი, ხათუნა ასათიანი, ვასო შიხაშვილი და სხვები.

▼▼

გუშინ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამართველოს უფროსმა რ. ვახტანგოვმა, რომელსაც საქინფორმის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ტეხასის შტატის ქალაქ დალასში, გვაცნობა, რომ უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით საქართველოს დამსახურებული კამერული ორკესტრის გასტროლები.

ეს კონცერტები აღმოჩენაა

— ასე აფასებენ ამერიკის შეერთებული შტატების გაზეთები მის გამოსვლებს.

უკვე გაიმართა ოთხი კონცერტი და თითოეული მთგანი მუსიკის ოსტატობისა და ვირტუოზულობის დღესასწაულია. ამერიკელი მუსიკისმოყვარულების, გაზეთების განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს ლიანა ისაკაძის ვირტუოზული დაკვრა და საშემსრულებლო ხელოვნება.

გასტროლები ამერიკის ქალაქებში ნოემბრის დამდეგამდე გასტანს.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისა და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა ლ. ქინწლაძემ.

ს. ნ. სხვიტარიძე



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე, 1962 წლიდან სკკპ წევრი სულიკო ნიკოლოზის ძე **სხვიტარიძე.**

ს. ნ. სხვიტარიძე დაიბადა 1938 წლის 1 ნოემბერს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1956 წლიდან, დაამთავრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

1965 წლიდან არჩეული იყო პირველი მაისის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად. 1966-დან 1973 წლამდე მუშაობდა პირველი მაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო 1973 წლიდან — თავმჯდომარედ.

1983 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილეა.

1966 წლიდან რამდენჯერმე აირჩიეს პირველი მაისის რაიონული საბჭოს, ხოლო 1973 წლიდან ქალაქის საბჭოს დეპუტატად.

ს. ნ. სხვიტარიძე თავისი შრომითი მოღვაწეობის პერიოდში გამოირჩეოდა საქმისადმი დიდი ერთგულებით, ორგანიზატორული ნიჭით, პრინციპულობით, ადამიანებისადმი თავმდაბალი და ყურადღებიანი დამოკიდებულებით, რითაც პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა.

ს. ნ. სხვიტარიძის კეთილი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამშრომლების, მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ტურნირი ■ მატჩი ■ შემდეგი

სპორტული ტანვარჯიში. როტერდამში (ჰოლანდია) მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე პლანეტის საუკეთესო ტანმოვარჯიშენი ეცილებიან ერთმანეთს გუნდურ და აბსოლუტურ პირველობას. სავალდებულო პროგრამით პირველნი